ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 31 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 22 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, მ. ხუხია, გ. ქაჯაია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გ. ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულის N1 საჯარო სკოლა არის ავარიულ მდომარეობაში, სკოლა დაიხურა და იწყება ახალი სკოლის მშენებლობა, აღნიშნულის გამო ახალი ხიბულის საჯარო სკოლის მოსწავლეები დროებით გადაყვანილი არიან, საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქვედაზენის დაწყებითი სკოლის შენობაში, სადაც საპირფარეშო არის კატასტროფულ მდგომარეობაში, რაც ბავშვებისთვის საფრთხის შემცველია და უმოკლეს ვადაში საჭიროებს შესაბამისი ზომების მიღებას და მიმართა სხდომაზე დამსწრე მერის მოადგილეს დ. ბერაიას, მოეძიებინათ ბიუჯეტში საჭირო თანხები და სკოლაში არსებული პრობლემა დროულად მოეგვარებინათ, სანამ უბედურება დატრიალდებოდა სკოლაში.

ბ. თამლიანი - დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში სასწრაფოდ იყო მოსაძიებელი თანხა, რათა სკოლაში არსებული პრობლემა მოეგვარებინათ. გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საკონფერენციო დარბაზის გახმოვანების მოწყობისთვის მიმართული იყო 50,0 ათასი ლარი, დაინტერესდა, საკონფერენციო დარბაზში თავიდან მონტაჟდებოდა გახმოვანება თუ რეაბილიტაცია უტარდებოდა?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკონფერენციო დარბაზს გაუკეთდა სრული რეაბილიტაცია, დარბაზში გახმოვანება არასდროს ყოფილა, გამომდინარე აქედან საჭიროებდა ახალი გახმოვანების მონტაჟს.

დ. ბერაია - მერის მოადგილე - გამომსვლელმა განმარტა, რომ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული ობიექტების რემონტი ან ახლის აშენება სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე მერიის მხრიდან კანონით არ იყო დაშვებული, ხოლო განათლების სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ შესაძლებელი იყო ბიუჯეტში მოეძიათ შესაბამისი თანხები, აღნიშნულ სკოლაში სველი წერტილის მოსაწესრიგებლად.

ლ. ქავთარაძე - განაცხადა, რომ სასწრაფოდ განეხორციელებინათ შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, რადგანაც დროულად მოეგვარებინათ, არსებული პრობლემა აღნიშნულ სკოლაში.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა მიმართა საფეხბურთო კლუბ „ხობის კოლხეთის“ დირექტორს (ბ. ბერაია), კლუბისთვის გამოყოფილი 25,0 ათასი ლარი სად მიემართებოდა?

ბ. ბერაია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული თანხა მიემართებოდა ქალთა ფეხბურთის შრომითი ანაზღაურების მუხლში.

მ. ქარდავა, გ. ქაჯაია - გამომსვლელებმა განაცხადაეს, რომ როდესაც ამდენი თანხა დამატებით მიიმართებოდა, ხობის ქალთა ფეხბურთის განვითარებისთვის, კონკრეტულად უნდა ყოფილიყო გაწერილი ყველა დეტალი თუ როგორ ნაწილდებოდა ეს თანხები.

ბ. ბერაია - გამომსვლელმა კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ ქალთა ფეხბურთის შრომის ანაზღაურებისთვის მიმართული თანხა, ვერ იქნებოდა ამ ეტაპისთვის კონკრეტულად გაწერილი, რადგანაც ეს თანხა გათვლილი იყო ფეხბურთელების ხელფასებზე.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელის განცხადებით, ზოგადად ის მხარს უჭერდა ქალთა ფეხბურთის განვითარებას და მითუმეტეს ხობის მუნიციპალიტეტში. ხობის ქალთა ფეხბურთის გუნდს ბევრი წარმატებები ჰქონდა ბოლო წლების განმავლობაში და იმედი გამოთქვა, კიდევ ბევრი წარმატებები ექნებოდათ მიმდინარე სეზონზე. მაგრამ აუცილებელი იყო, პერიოდულად მოეთხოვათ კლუბის ხელმძღვანელობისთვის, თუ სად იქნებოდა აღნიშნული თანხები მიმართული და სწორად თუ ხდებოდა მისი გადანაწილება.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, კენჭი ეყარათ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (გ. ქაჯაია) წინადადებისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ქვედაზენის დაწყებით სკოლაში სველი წერტილის დროულად მოწესრიგების მიზნით შესამისი ღონისძიებების გატარებას.

კენჭი ეყარა გ. ქაჯაიას წინადადებას, ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ქვედაზენის დაწყებით სკოლაში სველი წერტილის მოწესრიგების საკითხს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, ი. ზაქარაია, მ. ხუხია)

დაადგინეს: დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ქვედაზენის დაწყებით სკოლაში სველი წერტილის მოწესრიგება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კიდევ ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ დამატებით საკრებულოს წევრების მხრიდან მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან) 272000,0 ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 272000,0 ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებაზე, კერძოდ: 272000,0 ლარი - პროგრამის „ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება" ,,სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი" ასიგნებაზე; ბიუჯეტის შემოსულობები ამ ეტაპზე შეადგენს 19726,6 ათას ლარს. ასევე ნაშთის 898,3 ათასი ლარი (436,2 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტი, 462,1 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 169,7 ათასი ლარი, პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 632,9 ათასი ლარი, პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 94,7 ათასი ლარი, პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე 1,0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი ხურცილავა
11. ბესიკ თამლიანი
12. ჯანსუღი ჯიშკარიანი
13. ბადრი რიჟამაძე
14. მაკა ჩარტია
15. ბექა ხარბედია
16. სერგო ბერაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ირაკლი ზაქარაია
21. ფრიდონი შონია
22. ფრიდონი კუკავა